განკარგულება:**გ-47. 47241506**
თარიღი:**29/05/2024**

განკარგულება N31

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიები) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის (ს/ნ -402157330) გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების" 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტისა და ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის (ს/ნ -402157330) 2024 წლის 07 თებერვლის N1000395 2 24 00147567 წერილის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, დანართი N1-ში მითითებული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიები) ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი"-სათვის (ს/ნ -402157330) 2 (ორი) წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს

მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი